# საზოგადოებრივი
# მაუწყებლის 2021 წლის

## ანგარიში

1TV.GE

# საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც სამაუწყებლო ინსტიტუციას, სამაუწყებლო პოლიტიკა, სრულიად განსაკუთრებულ როლს ანიჭებს არა მხოლოდ ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, არამედ იმ პერსპექტივაში, რომლითაც, ზოგადად, სოციალურ სივრცეში მედია მოიაზრება.

საზოგადოებას შესთავაზოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი პროგრამები და გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება - მაუწყებელს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, კომერციული ტელეკომპანიებისგან განსხვავებით, შექმნას საზოგადოებისთვის ღირებული და საჭირო პროდუქტი. საზოგადოებრივ მაუწყებელს ეს რესურსი ანიჭებს პასუხისმგებლობას, რომ არ გადაუხვიოს ამ ძირითად სტრატეგიას.

სამაუწყებლო პოლიტიკით განისაზღვრება მაუწყებლის საქმიანობა - ა) გახდეს მთავარი სადისკუსიო სივრცე საქართველოს მოსახლეობისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა, დისკუსია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით. ბ) ჰიბრიდული ომის ვითარებაში მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად; ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პრობლემის შესახებ. გ) მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს გამორჩეული მედიასაშუალება, რომელიც ავითარებს და ამკვიდრებს საკუთარ მიდგომებს და მომსახურების მაღალ სტანდარტებს, იზიდავს მომხმარებლებს ინოვაციის, სიახლის, წინსვლის ხელშეწყობითა და წარმოჩენით. დ) მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, რომ წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტი საუკეთესო იყოს შესაბამის ჟანრში, ხოლო თითოეული პლატფორმის პროდუქციის მთელი სპექტრი გამოირჩეოდეს კონკურენტებისგან.

სამეურვეო საბჭოს მიერ 2019 და 2020 წლის შიდა შეფასებებით, რომელიც მოიცავდა ტელევიზიას, რადიოს და სხვა პლატფორმებს, დაცული იყო 2018-2021 წლების ძირითადი პროგრამული პრიორიტეტები. კერძოდ, საზოგადოებას მიეწოდებოდა პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, მათი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამები. მოცემულმა შეფასებებმა ასევე აჩვენა 2022-2025 წლებში პროგრამული პრიორიტეტების შეფასების კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის საჭიროება.

## კვლევის შედეგების თანახმად, გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმებზე შემეცნებითი გადაცემების წილის გაზრდა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში რეგიონების ცხოვრების მეტად ასახვა, როგორც სოციალური პრობლემების თვალსაზრისით, ასევე წარმატების ისტორიების და ახალი წამოწყებების ჩვენების კუთხით;
- საზოგადოებრივ მაუწყებელზე არაპოლიტიკური სადისკუსიო სივრცის გაფართოება;
- საგანმანათლებლო პლატფორმაზე თანამედროვე ელემენტების დამატება;
- სოციალურ მედიაში აქტიურობის გაზრდა.

2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა სამაუწყებლო პოლიტიკის ახალ დოკუმენტზე 2022-2025 წლებისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასების დოკუმენტების გათვალისწინებით და ასევე, 2021 წელს სამეურვეო საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. იხილეთ სრულად:

# საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები 2022 წლის 26 მარტიდან 2025 წლის 26 მარტამდე

## 1. შესავალი

### 1.1. პროგრამული პრიორიტეტების სამართლებრივი სტატუსი და სტრუქტურა

საქართველოს კონსტიტუციით, „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან" (მუხლი 17.6).

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს, საზოგადოებას მიაწოდოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამები (მუხლი 15). კანონის მე-16 მუხლში მოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები კონკრეტული ჩამონათვალის სახით.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტებით - სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (მუხლი 20[1]).

**1.2.** ახალი პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც ამ დოკუმენტით განისაზღვრა, განკუთვნილია სამწლიანი პერიოდისთვის და მოიცავს 2022 წლის 26 მარტიდან 2025 წლის 26 მარტის პერიოდს, თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში დასაშვებია დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2019 და 2020 წლის შიდა შეფასებებით (მოიცავდა ტელევიზიას, რადიოს და სხვა პლატფორმებს), დაცული იყო 2018-2021 წლების ძირითადი პროგრამული პრიორიტეტები. კერძოდ, საზოგადოებას მიეწოდებოდა პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, მათი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამები. მოცემულმა შეფასებებმა ასევე აჩვენა 2022-2025 წლებში პროგრამული პრიორიტეტების შეფასების კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის საჭიროება.

1 / *მუხლი 20. პროგრამული პრიორიტეტები.*

დოკუმენტი მომზადებულია, 2019 და 2020 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მხრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასების დოკუმენტების გათვალისწინებით, და ასევე 2021 წელს სამეურვეო საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

კვლევის შედეგების თანახმად, გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები:

- საზოგადოებრივი მაუწყებელის პლატფორმებზე შემეცნებითი გადაცემების წილის გაზრდა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში რეგიონების ცხოვრების მეტად ასახვა, როგორც სოციალური პრობლემების თვალსაზრისით, ასევე წარმატების ისტორიების და ახალი წამოწყებების ჩვენების კუთხით;
- საზოგადოებრივ მაუწყებელზე არაპოლიტიკური სადისკუსიო სივრცის გაფართოება;
- საგანმანათლებლო პლატფორმაზე თანამედროვე ელემენტების დამატება;
- სოციალურ მედიაში აქტიურობის გაზრდა.

### 1.3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ზოგადი ორიენტირები

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია ნდობის მიმართულების გაზრდა, რომელიც შემუშავდება სხვადასხვა კვლევების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

ამასთან, საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით.

ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირია მიაწოდოს საზოგადოებას ის მედიამომსახურება და პროდუქცია, რაც მომხმარებლებს და მთლიანად საზოგადოებას უპირველესად სჭირდება და რასაც მაუწყებელს კანონმდებლობა ავალდებულებს.

ამასთან, საზოგადოებრივი მაუწყებელი მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს, იყოს საქართველოს მოსახლეობისთვის მთავარი სადისკუსიო სივრცე, რომელშიც შესაძლებელია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით.

მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომას უნდა მიმართოს ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით, ჰიბრიდული ომის ვითარებაში; ამავე დროს, უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პრობლემის შესახებ.

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტი საუკეთესო იყოს შესაბამის ჟანრში, ხოლო თითოეული პლატფორმის პროდუქციის მთელი სპექტრით გამოირჩეოდეს.

საზოგადოების საჭიროებების ოპტიმალურად მომსახურების მიზნით, მაუწყებელმა სათანადო ბალანსი უნდა დაიცვას პროდუქციის შემდეგ სამ კატეგორიას შორის:

ა) ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები;

ბ) კულტურა, შემეცნება, განათლება, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი;

გ) ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქცია.

შინაარსობრივ სრულყოფასთან ერთად ორგანიზაციამ მუდმივად უნდა იზრუნოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმების განვითარებაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

## 2. მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას უპირველესად იხელმძღვანელებს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1. საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო, რადიო და მულტიმედიური არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში;

2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აუდიტორიის წარმოჩენა. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის ჩართულობისთვის;

3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა;

4. საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, საზოგადოებრივი პოლიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;

5. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;

6. ტელესკოლის, როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებითი პლატფორმის კონცეფციის შემუშავება და განვითარების გეგმის მომზადება;

7. პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა;

8. არქივი - არქივის გაციფრულების და შენახვის შემდგომი უზრუნველყოფა.

# 3. მაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

3.1. საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების მიმართულების და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციამ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე.

პროდუქციაში აისახოს: ა) სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე; ბ) რიგითი მოქალაქის პრობლემები; გ) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/პროცესები: ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.; დ) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები; ე) ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა, მათ შორის, უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება; ვ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები; ზ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენები; თ) საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე; ი) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური,

კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები; კ) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები; ლ) სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები; მ) ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები.

3.2. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს კვალიფიციური ინფორმაციის დროულად მიწოდება საზოგადოებისთვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და იმ ვალდებულებებზე, რაც ევროკავშირის კანდიდატობის მსურველ ქვეყანას ეკისრება.

3.3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჟურნალისტური გამოძიება.

ჟურნალისტური გამოძიება როგორც გახმაურებულ ამბებს, შემთხვევებ, ისე თემებს უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება.

3.4. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შეძენა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა, აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად წარმოაჩინოს ამ პრობლემების მოგვარების გზები, ასახავდეს აქტუალური თემების მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით;

3.5. საქართველოში არსებული ყველა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017-2020 წლების მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

უზრუნველყოფილი იქნეს ყველა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის ჩართულობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში.

3.6. საგანმანათლებლო, სამეცნიერო, პოპულარული და სხვა დოკუმენტური ფილმების წარმოების, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების შენარჩუნება და განვითარება. ქართული მხატვრული და სატელევიზიო, ასევე ანიმაციური ფილმების შექმნა-შეძენა და მათი მხარდაჭერა.

3.7. მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

3.8. მედიაპროდუქტის მომზადება ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის საკითხებზე.

3.9. სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

## 4. პროდუქციის მიწოდების გზები, პლატფორმები

წინამდებარე პროგრამული პრიორიტეტების შესასრულებლად მენეჯმენტმა ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს პროდუქციის სამაუწყებლო/საკომუნიკაციო პლატფორმებზე განთავსების გეგმა.

## 5. პროგრამული პრიორიტეტების შეფასების საზომები

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა ფასდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. შეფასებები, აგრეთვე, შეიძლება კეთდებოდეს წლის განმავლობაში რამდენჯერმე და გამოიყენებოდეს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა საშუალება, რომელიც შეეხება ყველა პლატფორმას;

- საქართველოს მოსახლეობის კვლევა - რაოდენობრივი კვლევა, რომლის შერჩევითი ერთობლიობის პარამეტრები ასახავს გენერალურ ერთობლიობას და კვლევის შედეგები იძლევა მთელ გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების საშუალებას, ხასიათდება დაბალი ცდომილებით და მაღალი სანდოობით.

- რაოდენობრივი კვლევა - პირისპირ ინტერვიუს მეთოდი.
  კვლევის სიხშირე: წელიწადში ერთხელ. მაქსიმუმ ორ წელიწადში ერთხელ.
- რაოდენობრივი კვლევა - სატელეფონო ინტერვიუ.

კვლევა უნდა ტარდებოდეს წლის განმავლობაში და გამოიყენებოდეს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების შესამუშავებლად.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები: საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმების ცნობადობა და მოხმარების სიხშირე, საზოგადოებრივი მაუწყებლის სანდოობა, საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების მოცვა.

• თვისებრივი კვლევა - (ფოკუსური დისკუსია). არსებული და ახალი პროექტების და სარეკლამო აქტივობების ეფექტურობის და სხვა მიზნობრივი კვლევისას სიღრმისეული ინფორმაციის ოპერატიულად მისაღებად.

- შიდა მონიტორინგის სისტემა - საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების სტატისტიკა.

  შეფასების ძირითადი კრიტერიუმები: გაშუქებული თემების შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან, გაშუქების სიხშირე.

- ინტერნეტ აუდიტორიის ანალიზი - სხვადასხვა პროგრამების საშუალებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერნეტ-პლატფორმების მომხმარებლის ანალიზი **(Google Analytics, YouTube Analytics, Social Baker).**

  შეფასების ძირითადი კრიტერიუმები: მომხმარებელთა რაოდენობა, დემოგრაფიული გადანაწილება და გეოგრაფიული მოცვა.

  საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ[2];

  საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ფინანსური ანგარიშგება - ხარჯვითი ანალიზი მიმართულებების მიხედვით.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები: ხარჯვითი ბიუჯეტის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა.

პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასებისთვის შესაძლოა გამოყენებული იყოს დამატებითი სოციოლოგიური კვლევები: საექსპერტო და სოციოლოგიური კვლევები, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ანალიზი და მონიტორინგი.

სამეურვეო საბჭოს მიერ პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასება და რეკომენდაციები იქნება საჯარო.

---

2 / *საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 35 (ე).*

# წლის მთავარი ამბები

## საქართველოს პირველი ტელევიზია - ტელემაუწყებლობის 65 წელი

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოში პირველი ტელემაუწყებლობიდან 65 წელი შესრულდა, ამასთან დაკავშირებით, პირველ არხზე დაიგეგმა მხატვრულ-მუსიკალური ფილმის გადაღება. ფილმი სატელევიზიო ეთერის გარდა ნაჩვენები იყო კინოთეატრში.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგია და ხედვა

განახლდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიის და ხედვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პირველი არხის განვითარების სტრატეგიას სხვადასხვა მიმართულებით, ძირითად ღირებულებებს, მიზნებს, ასევე, წარმოდგენილია არხის ხედვა.




## კონსტრუქციული ახალი ამბები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა კონსტრუქციული ახალი ამბების საკითხზე ტრენინგი გაიარეს.




## EBU აკადემია

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და EBU-ს ჟურნალისტური რეგიონული აკადემიის თანამშრომლობით, პირველი არხის ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ტრენინგების სერია გაიმართა.

## პროექტი შშმ პირთა მხარდასაჭერად

პირველი არხის პროექტის ფარგლებში, რომელიც შშმ პირთა მხარდასაჭერად ხორციელდება, ტრენინგები ჩატარდა.

პროექტის ფარგლებში, ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა მედიაგზამკვლევზე, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა საკითხების გაშუქების, კომუნიკაციისა და ქცევის გაიდლაინს. დოკუმენტი დაფუძნებულია კვლევაზე, პროფესიულ ლიტერატურაზე და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე.



# პირველი არხი - სცენა

პანდემიის გამო, სახელოვნებო სფერო მოწყვეტილი იყო შესაძლებლობას, ესარგებლა გამოხატვის ჩვეული ფორმებით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მას ონლაინ სივრცეში ალტერნატივა შესთავაზა, რომელიც, ერთი მხრივ, უკვე არსებული აუდიტორიის შენარჩუნებაში დაეხმარება, მეორე მხრივ, კი საშუალებას მისცემს, მოიზიდოს სრულიად ახალი სეგმენტი.

პირველი არხის ახალი პროექტი „პირველი არხი – სცენა“ - პლატფორმა, რომელიც ყველა საშემსრულებლო ხელოვნებას ერთ ციფრულ სივრცეში აერთიანებს.

1tvscena.ge-ზე შესაძლებელია სხვადასხვა ქართველი შემსრულებლის კონცერტის ჩანაწერების, ქართული ფილმების, თეატრალური წარმოდგენების ნახვა, გამოფენების, ცნობილი ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრების დათვალიერება და ა. შ.

სცენა



# WALT DISNEY ქართული გახმოვანებით

**პირველად ქართულ ტელესივრცეში,** პირველმა არხმა, მაყურებელს შესთავაზა Walt Disney-ს ანიმაციური ფილმები მაღალი ხარისხის, მათ შორის, ფილმებში გამოყენებული სიმღერების ქართული გახმოვანებით.

გახმოვანებისა და სიმღერების ქართულენოვანი ვერსიების შესაქმნელად სტუდიები სპეციალური, რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ.






## კელი დეგნანის ვიზიტი

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი საზოგადოებრივ მაუწყებელს ესტუმრა და საქართველოს პირველი არხის სამუშაო პროცესს გაეცნო. როგორც კელი დეგნანმა აღნიშნა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ ჯანსაღ დემოკრატიაში.

## პირველი არხი ყველასთვის

საქართველოს პირველმა არხმა 6 სექტემბერს ახალი სეზონი დაიწყო. პირველი არხი ყველასთვის - საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი საეთერო სეზონის კონცეფციაა.



## არჩევნები 2021

უწყვეტი ეთერი საქართველოს პირველი არხის ყველა პლატფორმაზე

https://bit.ly/38pz1Yb elections.1tv.ge

2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა ოფიციალური ვებგვერდისა – 1tv.ge, მუდმივად თავსდებოდა სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზე „არჩევნები 2021“, ასევე, სპეციალურად შექმნილ ვებპორტალზე – election.1tv.ge

## ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისია

თინათინ ბერძენიშვილი ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა




## ეუთო/ოდირის ანგარიში არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით

ეუთო/ოდირის ანგარიში - “ყველა კერძო მაუწყებელი იყო აშკარად მიკერძოებული, მაშინ, როდესაც ძირითად კანდიდატებს საზოგადოებრივ არხებზე დაეთმოთ შედარებით თანაბარი დრო, ძირითადად ნეიტრალური გაშუქებით”.

## შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი და ევროპის მაუწყებელთა კავშირის დელეგაცია ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელს შეხვდნენ.

## ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვიზიტი

საქართველოს პირველ არხს ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დელეგაცია ესტუმრა.

## არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრა

საქართველოს პირველი არხის მენეჯმენტსა და საქართველოში მოქმედ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

## პირველი არხის რეგულარული მაყურებელი 12%-ით გაიზარდა

მაყურებელთა რიცხვი, რომლებიც რეგულარულად უყურებენ საქართველოს პირველ არხს, 11.7 პროცენტით არის გაზრდილი.



## ინვესტიცია კრეატიულ სექტორში

2021 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კრეატიულ სექტორში ჩადებულმა ინვესტიციამ 8 მილიონი ლარი შეადგინა.




## ახალი შენობა ახალ მისამართზე

მშენებლობის პროცესი გრძელდება და გეგმის თანახმად, 2023 წლის აპრილის თვეში დასრულდება. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა ძველი შენობის აუქციონზე ხელახლა გატანასთან დაკავშირებით.



## ვიდეოოპერატორების პროგრამა

პირველი არხის ვიდეოოპერატორის მომზადების პროგრამა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არის ავტორიზებული და კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები შესაბამის სერტიფიკატებს მიიღებენ.



## EBU-ს გენერალური ასამბლეა

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) გენერალური ასამბლეის ფარგლებში სპეციალურ სესიაზე სიტყვით გამოვიდა.

## საქართველოს პირველი არხის თანაპროდიუსერობით გადაღებული ფილმი „ოსკარსა“ და „ოქროს გლობუსზე“ წარსადგენად შეირჩა

საქართველოს პირველი არხის თანაპროდიუსერობით გადაღებული, ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ფილმი „ოსკარსა“ და „ოქროს გლობუსზე“ წარსადგენად შეირჩა.



## ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით EBU-ს ვებინარი

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა (EBU), ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვებინარი ჩაატარა, რომელიც პირველი არხის დირექტორმა, EBU-ს გენდერული თანასწორობის ჯგუფის ხელმძღვანელმა – თინათინ ბერძენიშვილმა გახსნა.

## საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოცემაში DTI PLAYBOOK

EBU-ს გამოცემაში PLAYBOOK საზოგადოებრივი მაუწყებელი სწრაფი ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებულ მაგალითად არის შეფასებული.





## ჟესტური ენის საერთაშორისო დღე



საზოგადოებრივი მაუწყებელი ყრუთა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჟესტური ენის საერთაშორისო დღის აღნიშვნას სხვადასხვა აქტივობით შეუერთდა.

## კამპანია მარტოხელა, მიუსაფარი და მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად

საქართველოს პირველი არხი „საზოგადოების განვითარების ცენტრის“ კამპანიას შეუერთდა.



## თანამშრომლობის მემორანდუმები

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა. რომლის ფარგლებშიც საქართველოს პირველი არხი მედიის მიმართულების სტუდენტებს საინტერესო გამოცდილებას და მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვას სთავაზობს.

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

# HEART OF EUROPE

საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალზე Heart of Europe საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროდუქცია სხვადასხვა კატეგორიაში წარადგინა.

საქართველოს პირველი არხის დოკუმენტურმა ფილმმა „ჯამბაზის კალენდარი“ პოლონეთის ფესტივალზე Heart of Europe ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

კონკურსში 12 ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის 80-ზე მეტი პროექტი მონაწილეობდა.

# ვიდეორგოლი კლიმატურ ცვლილებებზე

ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ კლიმატურ ცვლილებებზე მომზადდა ვიდეორგოლი, რომელშიც საქართველოს პირველი არხი მონაწილეობს.

# ვარსკვლავების გახსნა

4 თებერვალს, ცნობილ ტელეწამყვანს, დავით სოკოლოვს პირველმა არხმა მთაწმინდის ტელეანძასთან ვარსკვლავი გაუხსნა. 28 ოქტომბერს კი ირინა მათიაშვილის, თინა მგალობლიშვილის და ირმა გურიელის ვარსკვლავები გაიხსნა.

ამ ტრადიციას საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წელს ჩაუყარა საფუძველი და სახელობითი ვარსკვლავები გაუხსნა ლეგენდარულ ტელესახეებს: ალექსანდრა მაჭავარიანს, ლია მიქაძეს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ჟანეტა არჩვაძეს, ნუგზარ ჯუღელს და თენგიზ ნათაძეს.



# მედია - ტელე/ რადიო/ ონლაინ

## ახალი და მიმდინარე ამბები

### არჩევნების გაშუქება

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

**საქართველოს პირველი არხის** მიზანს წარმოადგენდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანია და საარჩევნო პროცესი გაშუქებულიყო დაბალანსებულად და მიუკერძოებლად, ყველა საერთაშორისო სტანდარტისა და იმ ღირებულებების დაცვით, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს.




**პირველმა არხმა** პარტიებს სატელევიზიო და რადიო ეთერი შესთავაზა. ცესკო-ს მიერ დარეგისტრირებულ ყველა კვალიფიციურ პარტიას მიეცა თანაბარი ეთერი, როგორც საინფორმაციო გამოშვებაში „მოამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გაშუქდა საარჩევნო სუბიექტების (როგორც კვალიფიციური, ასევე, არაკვალიფიციური) ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა, მათი საარჩევნო პროგრამები და პოზიციები, გამოშვებებს ახლდა სურდოთარგმანი და მთავარი გამოშვება ხელმისაწვდომი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (ენის რეჟიმის მართვა შესაძლებელია სეტ ტოპ ბოქსის საშუალებით).

კვალიფიციურ სუბიექტებს, ასევე, დაეთმოთ რადიოეთერი. „საქართველოს რადიოს“ გადაცემაში „ღია სტუდია“ 13 კვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო 10-10 წუთი. ამ დროის განმავლობაში პარტიებს საშუალება ჰქონდათ საარჩევნო პროგრამა გაეცნოთ ამომრჩევლებისთვის. 10 წუთიანი ბლოკი გულისხმობდა პროგრამის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციას და კითხვებზე პასუხს, რომლებიც საარჩევნო პროგრამას ეხება.

არჩევნების გაშუქების ფარგლებში, **პირველმა არხმა** საარჩევნო სუბიექტებსა და ამომრჩევლებს შესთავაზა დებატები. პირველი დებატები გაიმართა არჩევნებში მონაწილე კვალიფიციურ სუბიექტებს შორის, სადაც მონაწილეობისთვის სპიკერები თავად პარტიებმა განსაზღვრეს. მეორე დებატები კი შედგა თბილისის მერობის ყველა კანდიდატს შორის.

დებატები უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანით, **საქართველოს პირველი არხი** უზრუნველყოფდა დებატების თარგმნას აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ასევე, ის გადაიცა საქართველოს რადიოს ეთერით.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სპეციალური პორტალი **elections.1tv.ge** შეიქმნა, რომელიც არჩევნების თაობაზე საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო ყველა ინფორმაციას აერთიანებს.

პორტალზე ხელმისაწვდომია ყველა ახალი ამბავი, რომელიც არჩევნებს ეხება, პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდს აშუქებს, ასევე, მიმდინარეობდა გამოკითხვა ლაივრეჟიმში, რაც ამომრჩეველთა აქტივობის გაზომვას ისახავდა მიზნად.

პორტალზე, ასევე, შესაძლებელი იყო „დებატები 2021"-ში მონაწილეებისათვის კითხვების დასმა. ეს კითხვები უშუალოდ დებატების მიმდინარეობისას გაჟღერდა პირდაპირ ეთერში.

ვებგვერდზე პერმანენტულად ქვეყნდებოდა **პირველი არხის** (სატელევიზიო, რადიო, ონლაინ) მონიტორინგის შედეგები, თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ყოველკვირეული ინფორმაცია და სარეკლამო დროის მონიტორინგის ნუსხა.

საქართველოს პირველი არხისა და საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო მონიტორინგის წარმოება, პირველ რიგში, ხაზს უსვამს პოლარიზებული პოლიტიკური და მედიაგარემოს პირობებში მიუკერძოებელი და დაბალანსებული გაშუქების აუცილებლობას.

## სადამკვირვებლო მისიებისა და მონიტორების შეფასება

საანგარიშო პერიოდში, კომუნიკაციების კომისიამ 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის მეორე და მესამე ანგარიში გამოაქვეყნა.

თვისობრივი მედიამონიტორინგი ჩაუტარდა ექვს საერთო ეროვნულ მაუწყებელს, მათ შორის, პირველ არხს. მედიამონიტორინგის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ ამბებს აშუქებდა მიუკერძოებლად.

კომუნიკაციების კომისიაში აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმდინარე მოვლენებს მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით აშუქებდა, მისი სიუჟეტები და გადაცემები ამომრჩევლის ინფორმირებას ემსახურებოდა.



„საზოგადოებრივი მაუწყებელი" ახალ ამბებს აშუქებდა მიუკერძოებლად. ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებას, ჟურნალისტების მხრიდან პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას და სიძულვილის ენის გამოყენებას. არხი ნეიტრალურად და დაბალანსებულად აშუქებდა ყველა კვალიფიციური სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობას, ეთერს უთმობდა არაკვალიფიციურ სუბიექტებს და პირდაპირ ეთერში გადასცემდა სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების პრეზენტაციებს, ბრიფინგებს და სხვა წინასაარჩევნო აქტივობებს. არხზე შეიქმნა სპეციალური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მაყურებელს ინფორმაციას აწვდიდნენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში არსებული ადგილობრივი პრობლემებისა და მერობის სხვადასხვა კანდიდატის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეუთო/ოდირის შეფასება, რომელიც პირველმა არხმა არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით მიიღო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიებს მეტ შესაძლებლობას სთავაზობს უფრო თანაბარი პირობებით, ვიდრე სხვები, ეს გამოჩნდა ჩვენი მედიამონიტორინგის პერიოდში, - ამის შესახებ ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ალბერტ იონსონმა განაცხადა. მისივე თქმით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა საარჩევნო სუბიექტს სამართლიანად დაუთმო საეთერო დრო.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს განსაკუთრებული ადგილი სხვა კერძო მაუწყებლებთან შედარებით და ჩვენ ეს დავინახეთ საარჩევნო კამპანიის დროს. საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიებს მეტ შესაძლებლობას სთავაზობს უფრო თანაბარი პირობებით, ვიდრე სხვები და ეს გამოჩნდა ჩვენი გუნდის მიერ მედიამონიტორინგის პერიოდში. მათ ყველას სამართლიანად დაუთმეს საეთერო დრო. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა დებატები, სადაც ყველა პარტიას ჰქონდა მონაწილეობის საშუალება და ვნახეთ, რომ ერთმა სტუმარმა საკუთარი ნებით დატოვა დებატები. ეს გამოგარჩევთ თქვენ, საზოგადოებრივ მაუწყებელს, სხვებისგან. ამავე დროს, მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბევრჯერ გააშუქდა მთავრობის ახალი ამბები და არ იყო მკაფიო გამყოფი ხაზი - მინისტრების საქმიანობა იყო, მთავრობის საქმიანობა თუ საარჩევნო საქმიანობა. ინსტიტუციონალური და საარჩევნო კამპანიის როლებს შორის მკაფიო განსხვავება არ ჩანდა", - განაცხადა ალბერტ იონსონმა.



# კონსტრუქციული ახალი ამბები

**საქართველოს პირველმა არხმა** დაიწყო გრძელვადიანი პროექტი, რომელიც კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მიმართულებით ჟურნალისტების სწავლებას ითვალისწინებს.

ორწლიანი პროექტი ევროპის მაუწყებელთა კავშირის დახმარებით ხორციელდება და მასში ჩართულია კონსტრუქციული ახალი ამბების ინსტიტუტი. ამ პროექტით ევროპელ მაუწყებელთა კავშირი კონტრიბუციას დებს ქართველ ჟურნალისტებში, რათა ეს ევროპული მოდელი დაინერგოს საქართველოში.

კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას ყალბი ამბების სამყაროში ალტერნატივა არ აქვს. კონსტრუქციული ახალი ამბები სრულიად ახალი მიდგომაა, რომელსაც **საქართველოს პირველი არხი**, სხვა ევროპული საზოგადოებრივი მაუწყებლების მსგავსად, პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს.

საანგარიშო პერიოდში, **საქართველოს პირველი არხის** ჟურნალისტებმა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის კურსი დანიაში, აარუსის უნივერსიტეტში გაიარეს. პროექტში პირადად ჩართულია ულრიკ ჰააგერუპი – კონსტრუქციული ახალი ამბების ინსტიტუტის ჟურნალისტი, დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ასევე, კონსტრუქციული ახალი ამბების გამოცემის ავტორი.

პროექტის ფარგლებში გაიმართა ონლაინ სემინარები და ვორქშოფები, რომელსაც ულრიკ ჰააგერუპი უძღვებოდა.

თანამედროვე მედიის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად ევროპის საზოგადოებრივი მაუწყებლები პრიორიტეტს კონსტრუქციულ ახალ ამბებზე აკეთებენ.

კონსტრუქციული ახალი ამბები ხვალინდელ დღეზეა ორიენტირებული: ესაა ახალი ამბები, რომელიც უკეთესი მომავლისა და გამოსავლის ძიებისკენაა მიმართული.



## EBU-ს და პირველი არხის ტრენინგების სერია

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და EBU-ს რეგიონულმა აკადემიამ პირველი არხის ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ტრენინგების სერია გამართეს.

სესიებში მონაწილეობდნენ როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები, ასევე, ჟურნალისტები სომხეთიდან. 2021 წელს პირველად ტრენინგების სერიაში რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის წევრი მაუწყებლებიც ჩაერთნენ.

რეგიონული სასწავლო ცენტრი ევროპის მაუწყებელთა კავშირთან ერთად დაარსდა. სასწავლო კურსს მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების პრაქტიკოსი მედიამენეჯერები მართავენ. ეს პროექტი უმნიშვნელოვანესია პირველი არხისთვის, რადგან მედიის ეკოსისტემაში საზოგადოებრივი მაუწყებელი მაღალი სტანდარტით გამოირჩევა.

საქართველოს პირველი არხისა და ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) თანამშრომლობითა და დაფინანსებით, საქართველოში მუდმივმოქმედი ჟურნალისტური რეგიონული აკადემია 2019 წლის დასაწყისში დაარსდა.

## მოამბის ახალი შეფუთვა

„მოამბის“ ახალ შეფუთვაზე ემის ჯილდოს მფლობელმა, კომპანია Ultra Graphics-ის კრეატიულმა დირექტორმა ჯეიმს ჯექსონმა იმუშავა. მას მაუწყებლობის მენეჯმენტსა და დიზაინის სფეროში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. საინფორმაციო პროგრამების შეფუთვის მიმართულებით კი თანამშრომლობდა ისეთ მედიაკომპანიებთან, როგორიცაა CBS და NBC.



# „ტელესკოლა“

## 2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები და საეთერო ბადე

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, „ტელესკოლის“ 2021 წლის პროგრამული განვითარების სტრატეგია რამდენიმე ძირითად პრინციპს დაეფუძნა, რომელთა მიხედვითაც დაიგეგმა და განხორციელდა 2021 წლის საეთერო ბადე:

**განათლების პოპულარიზაცია და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების მიწოდება საზოგადოებისათვის** - ვინაიდან, COVID-19 პანდემიისა და ჰიბრიდული სწავლების ფონზე 2021 სასწავლო წელი კვლავ სირთულეებით და გამოწვევებით იყო სავსე, „ტელესკოლის“ ეთერში გამეორდა უკვე ჩაწერილი ტელეგაკვეთილები, რათა მოსწავლეებს ქონოდათ შესაძლებლობა არსებული დანაკლისი მეტ-ნაკლებად შეევსოთ ტელეგაკვეთილების საშუალებით. ასევე, შეიქმნა დამხმარე სასწავლო რესურსები: „ინგლისური ყველასთვის“ (122 ეპიზოდი); „ინგლისური 1 წუთში“ (400 ეპიზოდი); „აბიტურიენტის დრო“ (8 ეპიზოდი).

**მასწავლებლებისა და მშობლებისათვის ბავშვების პრობლემებზე ორიენტირებული სადისკუსიო სივრცის შექმნა** - აღნიშნული პრიორიტეტის გათვალისწინებით მომზადდა პროექტები: „მშობლის საათი“ (4 ეპიზოდი); „რჩევები მშობლებს“ (15 ეპიზოდი); „სამასწავლებლო“ (15 ეპიზოდი). აღსანიშნავია, რომ ტელესკოლის მაყურებელს ქონდა შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში ენახა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2021“-ის წლის დაჯილდოება.

**შემეცნებით-საგანმანათლებლო და შემეცნებით-გასართობი პროექტების მომზადება სხვადასხვა ასაკობრივი სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით** - მომზადდა სხვადასხვა შინაარსის შემეცნებითი მოკლეფორმატიანი ვიდეოები: „კოსმოსი“ (80 ეპიზოდი); „ჩვენი პლანეტა“ (130 ეპიზოდი); „მეცნიერი ქალები“ (10 ეპიზოდი); „გენიოსები“ (13 ეპიზოდი); „როგორ გავაკეთოთ“ (16 ეპიზოდი); „ავტოპორტრეტი“ (10 ეპიზოდი).

**შემეცნებითი და პოპულარულ-სამეცნიერო დოკუმენტური ფილმების წარმოება -** „მოგზაურობა ისტორიაში, აბრეშუმის გზის კავკასიური მაგისტრალი“ (10 ეპიზოდი); „გენიოსები“ (13 ეპიზოდი); „თბილისის ოკუპაციის ქრონიკა“ (7 ეპიზოდი).

ეთნიკური უმცირესობებისათვის და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული პროგრამების წარმოება - „ქართული არაქართულენოვანი სკოლებისთვის“ (110 ეპიზოდი); „ჟესტური ენის გაკვეთილები“ (35 ეპიზოდი).
შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების განვითარებისათვის საჭირო პლატფორმის შექმნა ახალგაზრდებისთვის/საკონკურსო და სადისკუსიო პროექტების მომზადება, რომელიც შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენას და მისცემს მათ საკუთარი ნიჭის წარმოჩენის საშუალებას - აღნიშნული პრიორიტეტის გათვალისწინებით, ახალგაზრდა მაყურებლისთვის შეიქმნა პროექტები „თაობა“ და „წითელი სკამი“ (საეთეროდ მომზადდა, თუმცა, აღნიშნული პროექტის გაშვება დაიგეგმა 2022 წლის გაზაფხულის სეზონზე).

სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია - პროექტი „იოგა“ (60 ეპიზოდი); ვიდეოების სერია „ვარჯიში ქეთი ხატიაშვილთან ერთად“.

**ჯილდოები და პრიზები**

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“** 2022 წლის საუკეთესო პროექტად **დაასახელა „ტელესკოლა“.**



# სიახლეები საეთერო ბადეში

## “ვოისი”

ეთერში ჩაეშვა და 2021 წლის მაისის თვეში გრანდიოზული ფინალით დასრულდა საერთაშორისო მუსიკალური მეგა შოუ “ვოისი”. პროექტის გამარჯვებული გახდა მაგდა ივანიშვილი.

**საბავშვო მუსიკალური შოუ „რანინას“** მეოთხე სეზონმა წარმატებით ჩაიარა, გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული და საქართველოს ხმა 2021 წლის საბავშვო ევროვიზიაზე - ნიკოლოზ ქაჯაია.

## ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

2021 წლის საბავშვო ევროვიზიაზე რანინას გამარჯვებულმა ნიკოლოზ ქაჯაიამ დიდი წარმატებით წარადგინა გიგა კუხიანიძის სიმღერა და საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა.

2021 წლის გაზაფხულზე, საქართველო ევროვიზიაზე თორნიკე ყიფიანმა წარადგინა.

## „დავით გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე”

2021 წლის მაისის თვიდან, პირველი არხის ეთერში ჩაეშვა ახალი ყოველკვირეული პროექტი, სადაც გადაცემა „ახალი დღის” წამყვანი და მწერალი დავით გორგილაძე გვთავაზობს ინტერვიუებს საინტერესო და ცნობილ ადამიანებთან.

## „ამ შაბათ-კვირას”

2021 წლის მაისის თვეში პირველი არხის ეთერში შევიდა ახალი ყოველკვირეული გადაცემა “ამ შაბათ-კვირას”. პროექტი ბადეში განთავსდა ყოველ შაბათს და კვირას, დღის პირველის ნახევრიდან ორ საათამდე. გადაცემაში საუბარია მსუბუქ, შემეცნებით, სახელოვნებო და მაყურებლისათვის გასართობი ხასიათის თემებზე. გადაცემას ყავს სამი წამყვანი, ლიზა ბაგრატიონი, გიორგი შერვაშიძე და ლიკა ევგენიძე.

## „მასტერშეფი”

2021 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე, პირველი არხის ეთერში წარმატებით ჩაიარა კულინარიული მეგა შოუს მეხუთე და მეექვსე სეზონებმა. პროექტის უდიდეს წარმატებაზე მეტყველებს როგორც მაღალი რეიტინგი, ასევე ონლაინ ნახვები.

## ქართული ანიმაცია „მაშველები”

2020 წლის სექტემბრის თვეში, პირველმა არხმა მაყურებელს წარუდგინა ტექნოლოგიურად მაღალი ხარისხის საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც შემეცნების თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი პროდუქტია და ანალოგი არ აქვს ქართულ ტელესივრცეში. 2021 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე ეთერში გავიდა სერიალის მეორე და მესამე სეზონები.

## „იდეალური დედა“

2021 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე, პირველი არხის ეთერში გავიდა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი სერიალის „იდეალური დედა“ კიდევ ორი სეზონი, ძველი და ახალი გმირებითა და მათი საინტერესო ისტორიებით.

## „შარქ თენქ საქართველო“

2021 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო პროექტის, „შარქ თენქი“, ლიცენზიის შეძენისა და წარმოების შესახებ. პროექტის პირველი სეზონი წარმატებით გავიდა ეთერში პირველი არხის შემოდგომის სეზონზე.

პროექტის „შარქ თენქ საქართველო“ პირველ სეზონზე დაფინანსდა 14 მონაწილე და ჯამში $1.5 მლნ-ზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. ეს არის პირველი არხის მიერ შექმნილი პლატფორმა, რომელიც დამწყებ ბიზნესს საშუალებას აძლევს, ინვესტიცია მოიპოვოს, პროცესს კი, მაყურებელს საინტერესო ფორმით სთავაზობს.

## „წიგნების თარო“ სასკოლო და სტუდენტური სეზონები

ტრადიციულად, 2021 წლის განმავლობაში, პირველი არხის ეთერში გავიდა ახალგაზრდული პროექტის „წიგნების თარო“ სტუდენტური და სასკოლო, საგაზაფხულო და საშემოდგომო სეზონები. საგანმანათლებლო პროექტის 13 გამარჯვებული მონაწილე გაემგზავრა კემბრიჯში, რაც გახლავთ პროექტის ჯილდო. აგვისტოს თვეში განახლდა გადაცემის სტუდიის დეკორაცია.

## „რა? სად? როდის?“

2021 წლის სექტემბრში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო გადაცემის „რა? სად? როდის?“ საშემოდგომო სეზონმა და პირველი თამაშის ფარგლებში მაყურებელი შეხვდა ინტელექტუალური კლუბის ახალ გუნდს, რომელიც დაკომპლექტდა პირველი არხის თანამშრომლებისგან.

## „მარტივი ლოგიკა“

საერთაშორისო ლიცენზირებული პროექტი „მარტივი ლოგიკა“ კვლავ გრძელდება პირველი არხის ეთერში. სექტემბრის თვეში განახლდა გადაცემის სტუდიის დეკორაცია.

## „მუსიკის 12 მოციქული“

დავით ევგენიძის საავტორო გადაცემის „მუსიკის 12 მოციქული“ ფარგლებში, პირველმა არხმა გამოაცხადა საავტორო სიმღერის კონკურსი და შვიდი საუკეთესო სიმღერის პრემიერა შედგა ეთერში.

## „დოსიე“

პაატა ქურდაძის საავტორო გადაცემა „დოსიეს“ ახალი სეზონის ფორმატს დაემატა სტუმრის ბლოკი, სადაც მაყურებელი ისმენს წარმოდგენილი ფილმის გარჩევას საინტერესო პერსონებთან ერთად.

## „ფერმა“

გადაცემას ჰყავს ახალი წამყვანი, გიორგი ტატანაშვილი, რომელიც უკვე შეიყვარა მაყურებელმა.

## „რეალური სივრცე“

ყოველკვირეული სოციალური თოქ შოუ ეთერში გავიდა განახლებული სტუდიით.

## „ტაიმ აუტი“

ყოველდღიურ სპორტულ გადაცემას „ტაიმ აუტი“ შეეცვალა საეთერო დრო, პროექტმა გადაინაცვლა საღამოს ეთერში და ასევე დაემატა ახალი წამყვანი, ქეთი ხატიაშვილი.

## 26 მაისი - უწყვეტი ეთერი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 26 მაისს მაყურებელს 11-საათიანი უწყვეტი ეთერი შესთავაზა.

26 მაისი

## საააღდგომო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია სამების საკათედრო ტაძრიდან

პირველი არხის ეთერით იხილა მაყურებელმა სააღდგომო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია სამების საკათედრო ტაძრიდან.



## ახალი სტუდია

2020 წლის დეკემბერში მაუწყებელმა დაგეგმა ტელევიზიის ტერიტორიაზე არსებული სტუდიებისა და ამ სტუდიებში მიმდინარე გადაცემების ჩაწერების სტრუქტურის შეცვლა. აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა "ც სტუდიის" რეკონსტრუქციის და ვიზუალური მხარის განახლების გადაწყვეტილება, იმისათვის რომ პირველი არხის ყველა, ყოველდღიური, პირდაპირ ეთერში მომუშავე გადაცემა მოქცეულიყო ერთ სივრცეში. პროექტი წარმატებით განხორციელდა 2021 წელს და შედეგად გადაცემები: "ახალი დღე", "პირადი ექიმი", "ტაიმ აუტი"," დღის კოდი", "ბიზნეს პარტნიორი" - მაუწყებლობენ განახლებული სტუდიიდან.

## ქუჩის მუსიკოსების ფესტივალი

პირველი არხის ორგანიზებით გაიმართა ქუჩის მუსიკოსების უნიკალური ფესტივალი.




## ახალი წელი - „ჯადოსნური ახალი წელი, ანუ ერთი კოცნის ისტორია“

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოში პირველი ტელემაუწყებლობიდან 65 წელი შესრულდა, ამასთან დაკავშირებით, პირველ არხზე დაიგეგმა მხატვრულ-მუსიკალური ფილმის გადაღება. ფილმის სატელევიზიო პრემიერა მაყურებელმა ეთერში 31 დეკემბერს იხილა. 14 იანვრიდან კი ნაჩვენები იქნება კინოთეატრში.



# მთავარი სპორტული მოვლენები

საანგარიშო პერიოდი დატვირთული იყო მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებებით. სპორტის მოყვარულებმა იხილეს ფეხბურთში „UEFA 2020“ ჩემპიონატი და ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიადა.

**„ევრო 2020“** - საქართველოს პირველმა არხმა, გახსნიდან ფინალამდე, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ყველა, 51-ვე მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი შესთავაზა მაყურებელს.




პირველი არხი “**ევრო 2020**”-ს აუდიტორიას მობილური აპლიკაციის საშუალებითაც სთავაზობდა.

## „ტოკიო 2020“

ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიადის პირდაპირ რეპორტაჟებს საქართველოს პირველი არხი და „ტელესკოლა“ უწყვეტ რეჟიმში სთავაზობდნენ მაყურებელს.



## „ტოკიო 2020 - პარალიმპიადა“

პირველად საქართველოში, 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით,საქართველოსპირველიარხისმაყურებელსსაშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა „ტოკიო 2020 – პარალიმპიადისთვის“.



პირველი არხისთვის პრიორიტეტულია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მხარდაჭერა. პარალიმპიადის შესყიდვა და ტრანსლირება უმნიშვნელოვანესი გზავნილია უკეთესი, ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის.

## საკალათბურთო მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება

საქართველოს პირველმა არხმა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან (FIBA) საკალათბურთო მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება შეისყიდა. გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ტელემაყურებელი იხილავს საქართველოს ნაკრების ყველა მატჩს მსოფლიოსა და ევროპის უახლოესი ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში.



# „ტელეფილმები“

2021 წლის განმავლობაში დასრულდა და ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმები: „სითეთრეში ჩაძირულები“; პროექტის „უნივერსიტეტის დამფუძნებლები“ ფარგლებში შექმნილი დოკუმენტური ფილმები - „კორნელი კეკელიძე“, „ანდრია რაზმაძე“.

დასრულდა და ეთერში გავიდა დოკუმენტური სერიალის **„საიდუმლო კარტოთეკა“** (მე-2 სეზონი) - მე-4 ფილმი **„კოლექტივიზაცია“**, 1-ლი და მე-2 სერია; **„საიდუმლო კარტოთეკა“** მე-5 ფილმი - **„დიდი ტერორი“**, 1-ლი და მე-2 სერია; **„საიდუმლო კარტოთეკა“** (მე-3 სეზონი) მე-6 ფილმი - **„ორგანიზაცია სამანი“**, 1-ლი და მე-2 სერია; **„საიდუმლო კარტოთეკა“** (მე-3 სეზონი) მე-7 ფილმი - **„ქართული ლეგიონი“**, 1-ლი და მე-2 სერია.

დასრულდა და ეთერში გავიდა 10 ფილმისგან შემდგარი დოკუმენტური სერიალის სახელწოდებით **„ერი და პრესა“** ათივე ფილმი:

- „ბეჭდური სიტყვა და პრესამდელი საქართველო“;
- „პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები“;
- „ვორონცოვის ხანა“;
- „ცისკარი“ და კულტურის ახალი ჰორიზონტი“;
- „რეტროგრადები და პროგრესისტები“;
- „რევოლუციონერები და პატრიოტები“;
- „პრესა და ომი“;
- „ერთი გაზეთის ტვირთი“;
- “პრესა და ბანკი“;
- „პარტიული პრესა და ეპოქის დასასრული“.



დასრულდა და 2021 წლის 8 აგვისტოს ეთერში გავიდა (რეჟისორი შალვა შენგელი, სცენარის ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი) დოკუმენტური ფილმი „გიორგი ანწუხელიძე“. ფილმი მოგვითხრობს საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის შესახებ, მის ოჯახზე და თავდადებაზე. სატელევიზიო ფილმის პრემიერის ფარგლებში, კოვიდრეგულაციების დაცვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოში მოეწყო ღია ჩვენება - პრემიერა, გიორგი ანწუხელიძის ოჯახის წევრების, კოლეგებისა და დაინტერესებული მაყურებლისთვის.

2021 წლის შემოდგომის სატელევიზიო სეზონიდან, ყოველ შაბათს, საღამოს 8 საათზე, ეთერში გავიდა ახალი პროექტი **„ტელედოკი“.** ყოველკვირეული 26-წუთიანი

დოკუმენტური ჩანახატი (ფილმი, რეპორტაჟი, მოზრდილი სიუჟეტი) ადამიანებზე, რომლებიც აქტუალურ და საინტერესო საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ ან/და სოციალურ ცხოვრებაში არიან ჩართულნი; მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე, პრობლემებზე, ფიქრებზე, ოცნებებსა და იდეალებზე.

საინტერესო გმირების გარდა, ეს ჩანახატები შემოგვინახავენ ეპოქის ატმოსფეროს, გვაგრძნობინებენ მიმდინარე ისტორიულ კონტექსტს, განწყობას, დროის „სურნელს". თითოეული ჩანახატი იქნება ჩვენი დროის უტყუარი დოკუმენტი და ერთგვარი მასალა, ან იმპულსი მომავალი დოკუმენტური და მხატვრული ფილმებისთვის, ისტორიული თუ სოციალური კვლევებისთვის და ა.შ.

პროექტის ფარგლებში დამზადდა 12 ტელედოკი:

- „მწვანე კუნძულზე კვირა დღეს" - ავტორი და რეჟისორი ნიკა მარი;
- „რას ხედავ ალეკო?" - ავტორი და რეჟისორი სანდრო ნავერიანი;
- „ ორი ძმა" - ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი ნათია არაბული - ვეგერი;
- „უხილავი ძაფებით" - ავტორი და რეჟისორი ნინო კაკაურიძე;
- „ყველაფერი სიყვარულით იწყება" - ავტორი და რეჟისორი ვახტანგ კუნცევი-გაბაშვილი;
- „სარკის მიღმა" - ავტორი და რეჟისორი თათია ახალშენაშვილი;
- „ტყის მცველი" - ავტორი და რეჟისორი ანა ბარჯაძე;
- „მღვიმეების საიდუმლო" - ავტორი და რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი;
- „გოგონა ველოსიპედით" - ავტორი და რეჟისორი ლევან შუბაშვილი;
- „ფარსაგონი" - ავტორი და რეჟისორი ვახტანგ კუნცევი-გაბაშვილი;
- „ახალი მოქალაქე" - ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი ნათია არაბული - ვეგერი;
- „ფიქრებიდან" - ავტორი და რეჟისორი ლევან ბზვანელი.

## მნიშვნელოვანი მოვლენები / სამუშაოები / სიახლეები

- ჩაეშვა და დასრულდა დოკუმენტური ფილმი „ენგურჰესი - მშვიდობის კუნძული" (რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი). ფილმი მოგვითხრობს ენგურჰესის რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ორ რეგიონში - სამეგრელოსა და აფხაზეთში.

- დასრულდა 5 სერიანი მხატვრული ფილმის პროექტის „იუნკრები" წინამოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები. რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე, სცენარის ავტორები - გიორგი ბარაბაძე, კოტე ჯანდიერი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამონაწილეობით 2021 წელს განხორციელდა რამდენიმე სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტი:

- 2021 წ 28 თებერვალს  დასრულდა მუშაობა ახალგაზრდა კინორეჟისორთა ხელშეწყობის პროგრამა „დებიუტის“ ერთ-ერთი გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტზე „ღამის სკოლა“ (რეჟ: გიორგი სამსიანი).
- 2021წ 4 მარტს  დასრულდა და მაუწყებელმა ჩაიბარა  მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ივანე, ვირი „კოხტა“, ჩიტები და მიხეილი“ (რეჟ: ელდარ შენგელაია, სცენ: ამირან დოლიძე, ელდარ შენგელაია).
- 17 მარტს ხელი მოეწერა  ხელშეკრულებას „სტუდია 99“-თან  სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ (რეჟისორი: ნანა ჯორჯაძე, სცენარის ავტორები: ნანა ჯორჯაძე, თამარ ბართაია, ქრ.90წთ) ერთობლივ წარმოებაში ფინანსურ მონაწილეობაზე.
- 12 აგვისტოს დასრულდა და მაუწყებელმა ჩაიბარა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი სახელწოდებით „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ (რეჟისორი და სცენარის ავტორი: ირინე ჟორდანია).

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით შექმნილი სამი ფილმი იქნა წარდგენილი.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი  „ნომერი 26“, რომლის პროექტიც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის 2019 წლის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის გამარჯვებულია და კინოცენტრის და პირველი არხის თანადაფინანსებით შეიქმნა. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი გვანცა მეფარიშვილია. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული შვიდი მოკლემეტრაჟიანი ფილმი დააფინანსა.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე ასევე წარდგენილი იყო პირველი არხის და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „დებიუტი“ ფარგლებში შექმნილი ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თანაგრძნობა“ - რეჟისორი ზვიად ციკოლია და „სამზადისი“ - რეჟისორი ილია ასიტაშვილი.

ფილმმა „სამზადისი“ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

2021წ 22-ე თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე ქართულ პანორამაში შერჩეული იქნა და ფართო საზოგადოებას წარედგინა საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამონაწილეობით შექმნილი  ფილმები:

მოკლემეტრაჟიანი ფილმები:

- „ფუტკრის დაცემა“ - რეჟისორი ვაჟა ჩაჩხიანი,
- „გუშაგები“ - რეჟისორი სანდრო სულაძე,
- „პაპანაქება“ - რეჟისორი თორნიკე გოგრიჭიანი - პროექტმა ფესტივალის სპეციალური პრიზი მიიღო.
- „ნომერი 26“ - რეჟისორი გვანცა მეფარიშვილი
- „მეზობელი“ - რეჟისორი დავით ბორჩხიძე
- „აუზი“ - რეჟისორი სალომე ლაცაბიძე
- „სასტუმრო მირაჟი“ - რეჟისორი გურამ ბაქრაძე
- „შავი ზღვა“ - რეჟისორი თინათინ ემირიძე, ხვიჩა ემირიძე
- „თანაგრძნობა“ - რეჟისორი ზვიად ციკოლია

სრულმეტრაჟიანი ფილმები:

- „მეოთხე ბრაიტონი“ - რეჟ: ლევან კოღუაშვილი - ფილმმა ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო
- „გვიანი შემოდგომა“ - რეჟ: გია ბარაბაძე.

„მეოთხე ბრაიტონი“- მიღებული პრიზები

- 2021წ საუდის არაბეთის წითელი ზღვის კინოფესტივალის პრიზი;
- 2021წ თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ლევან თედიაშვილი;
- 2021წ Asian World Film Festival-ის საუკეთესო ფილმის პრიზი;
- 2021წ კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზი - საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაში ლევან თედიაშვილი. ასევე, „ფიპრესის“ (კინოკრიტიკოსების) და ეკუმენიური ჟიურის პრიზები;
- 2021წ „ტრაიბეკას“ საერთაშორისი კინოფესტივალზე სამი ჯილდო: ფილმმა მიიღო ჯილდო საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, ასევე, საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში გაიმარჯვა ლევან თედიაშვილმა და დაჯილდოვდა საუკეთესო სცენარისთვის.

# „მრავალფეროვანი საქართველო“

2021 წელსაც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებდა ყოველდღიურად ოთხ საინფორმაციო გამოშვებას როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენაზე. აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ტრანსლაცია ხდებოდა შესაბამისი ონლაინ პლატფორმებით, ასევე, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების საშუალებით.

## „მოამბის“ სინქრონული თარგმანი

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სინქრონული თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. „მოამბის“ სინქრონული თარგმანის სეტ ტოპ ბოქსებით გავრცელების პარალელურად, კონტენტი თავსდებოდა ონლაინ პლატფორმებზე - პირველი არხის ვებ-გვერდის შესაბამის ენობრივ განყოფილებებში და ქვემოთ მითითებულ ფეისბუქ გვერდებზე:

პირველი არხი აზერბაიჯანულად

პირველი არხი სომხურად

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის რეგიონალურ ტელევიზიებთან თანამშრომლობის ფარგლებში, საინფორმაციო გამოშვებები 2021 წლიდან ტრანსლირდება აღნიშნული ტელევიზიებით.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებდა ახალ ამბებს ქურთულ ენაზე.

მაუწყებელი, ასევე, უზრუნველყოფდა პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების „მოამბე 21:00 საათზე“ სინქრონულ თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე.

2021 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფის „მრავალფეროვანი საქართველო’’ გუნდი რეგულარულად, კოვიდ რეგულაციების დაცვით, აწყობდა შეხვედრებს რეგიონის მოსახლეობასთან და აცნობდა მათ იმ პროდუქტებს, რასაც ამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებელი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

2021 წლის განმავლობაში, აზერბაიჯანულენოვან 1tv.ge-ს სტუმრობდა 218682 ინდივიდუალური მომხმარებელი, ხოლო სომხურენოვან 1tv.ge-ს - 156997.

2021 წელს „ტელესკოლის“ ეთერში გადიოდა ახალი ფორმატით მომზადებული ქართული ენის ტელეგაკვეთილები არაქართულენოვანი სკოლებისთვის. კვირაში ხუთი გაკვეთილი გადიოდა ეთერში. გაკვეთილები მოიცავდა სამ საფეხურს, პროფესიულ ქართულს და ლიტერატურის დროს.




# რადიო

## რადიოს დაბადების დღე

1925 წლის 23 მაისს საქართველოში პირველმა, ხოლო ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა რადიომ დაიწყო მაუწყებლობა.

## „პოდკასტი - შენი აუდიოსივრცე“

EBU-ს მხარდაჭერით მომზადდა პოდკასტების სერია და ის უკვე ხელმისაწვდომია პლატფორმაზე [www.1tvpodcast.ge](www.1tvpodcast.ge)

## ტრენინგი პოდკასტის თემაზე

საზოგადოებრივი მაუწყებელმა და EBU-ს რეგიონულმა აკადემიამ პირველი არხის ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ონლაინ და რადიო თანამშრომლებისთვის პოდკასტის მომდევნო ტრენინგი გამართეს.

ტრენინგის პროგრამა პოდკასტერებს სთავაზობს შესაძლებლობას, საფუძვლიანად შეისწავლონ და განავითარონ საჭირო უნარები, რომ მსმენელს შესთავაზონ თხრობის, ხმის დიზაინის და სოციალური საზოგადოების შექმნის მაღალი დონე.

სამდღიან მასტერკლასს დისტანციურ რეჟიმში გაუძღვნენ საერთაშორისო მედია კონსულტანტი და ტრენერი ჯასთინ ქინგსი და აუდიო/ვიდეო პროდიუსერი მაიქლ ქერლინგი.

საქართველოს პირველი არხისა და ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) თანამშრომლობითა და დაფინანსებით, საქართველოში მუდმივმოქმედი ჟურნალისტური, რეგიონული აკადემია 2019 წლის დასაწყისში დაარსდა.

## პროექტი 50:50 - BBC-თან თანამშრომლობა გენდერული ბალანსის დასაცავად

პირველმა არხმა პროექტის „50:50“ ფარგლებში BBC-თან თანამშრომლობა 2020 წელს დაიწყო. პროექტი ყველა პლატფორმაზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას გულისხმობს. პროექტი მონაცემთა შეგროვების, გაზომვის, დამუშავების და შემდგომ დაგეგმვის საშუალებით უზრუნველყოფს მაუწყებლის კონტენტში ქალების და კაცების სამართლიან რეპრეზენტაციას და გენდერული ბალანსის საუკეთესო შესაძლო მაჩვენებლის მიღწევას.
ანალიზი ხორციელდება პერიოდულად და საშუალებას იძლევა სარედაქციო დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს გენდერული თვალსაზრისით სტუმრების გადანაწილება.

2022 წელს პროექტი გაგრძელდება.

# ონლაინ მედია



საქართველოს პირველი არხის ონლაინმედიის ჯგუფი აგრძელებდა ვებპლატფორმაზე -1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებდა ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

მიმდინარეობდა 1tv.ge-ის ტექნიკური განახლება და დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციონალი.

სპეციალურად 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის შეიქმნა ვებგვერდი election.1tv.ge, სადაც მუდმივად თავსდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია, - სიახლეები, ვიდეოები, დოკუმენტები.

აპლიკაცია 1TVPLAY-ზე მიმდინარეობდა ოლიმპიადის სარეგისტრაციო ფორმის ტექნიკური სამუშაოები.

1TVPLAY-ის ვებგვერდის პროექტისთვის შემუშავდა ტექნიკური დავალება.
აპლიკაცია Mobile TV-ის დაემატა LIVE ფუნქცია.

*საიტის 1tv.ge სტატისტიკა*

| 2021 | 2020 |
|---|---|
| ვიზიტი საიტზე - 35,384,700 | ვიზიტი საიტზე - 54,128,100 |
| უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 77,300 | უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 122,800 |
| საშუალოდ დღეში ვიზიტი: 97,000 | საშუალოდ დღეში ვიზიტი: 148,300 |
| **მაქსიმალური მაჩვენებელი - 209,500 (11/01/2021)** | **მაქსიმალური მაჩვენებელი - 595,400 (04/01/2020)** |

*იუთუბარხების სტატისტიკა*

| 2021 | 2020 |
|---|---|
| ნახვა -135,800,000 | ნახვა - 127,100,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა - 372,000 | საშუალოდ დღეში ნახვა - 348,200 |
| **მაქსიმალური მაჩვენებელი - 723,500 (11 აპრილი 2021)** | **მაქსიმალური მაჩვენებელი - 732,000 (22 ივნისი 2020)** |

*დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.*

# ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 140,2 მილიონი - წინა წელთან შედარებით ნახვები მომატებულია 7,83%-ით.

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 5,600,000 - წინა წელთან შედარებით მომატებულია 103%-ით.









*გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 403,612- გაზრდილია* ***15.33%-ით***

# ჩატარებული კვლევები

- ჩატარდა ტელე-აუდიტორიის კვლევის მესამე, მოგვიანებით კი მეოთხე ტალღა. კვლევის მიზანი: ტელევიზიების საინფორმაციო კონტენტის მიმართ ნდობა, რეგულარული ტელევიზია, პირველი არხის გადაცემების ცნობადობა და ყურების გამოცდილება. კვლევის მეთოდი: სატელეფონო კვლევა.
- ჩატარდა ბავშვთა ასაკობრივი სეგმენტის თვისებრივი კვლევა ფოკუსჯგუფების მეთოდით. კვლევის მიზანი: ქართული ანიმაციური ფილმ „მაშველების", როგორც პროდუქტის ხარვეზების აღმოჩენა და გამოაშკარავება, მისი შესაბამისობა სამიზნე სეგმენტთან, არსებული პოტენციალის და სამომავლო განვითარების მიმართულებების ძიება, საბავშვო სეგმენტთან საკომუნიკაციო ენის შემუშავება.
- ჩატარდა გადაცემების „ტაიმაუტი" და „ბიზნესპარტნიორი" თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფების მეთოდით. კვლევის მიზანი: პროდუქტის ხარვეზების აღმოჩენა და გამოაშკარავება, მისი შესაბამისობა სამიზნე სეგმენტთან, არსებული პოტენციალის და სამომავლო განვითარების მიმართულებების ძიება, სეგმენტთან საკომუნიკაციო ენის შემუშავება.
- ჩატარდა თვისობრივი კვლევა „Video on Demand" სამომხმარებლო ქცევა, აღქმა, დამოკიდებულება (2021წ, აგვისტო). კვლევის მიზანი: ახალი VOD პლატფორმის პროტოტიპის შექმნისთვის საბაზისო საკითხების კვლევა.

კვლევის ამოცანები:

- VOD პლატფორმების სამომხმარებლო კონცეფცია
- VOD პლატფორმების მოხმარების გამოცდილება
- VOD პლატფორმებზე კონტენტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები
- VOD პლატფორმის მიმზიდველი დიზაინის ძირითადი მახასიათებლები
- ადგილობრივი VOD პლატფორმების დეფიციტები, სამომხმარებლო უკმაყოფლების დეტერმინანტები

კვლევის მეთოდი: თვისობრივი კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მეთოდით (4 IDI; 2 FGD)

ჯგუფის კომპოზიცია: თითოეულ ჯგუფზე წარმოდგენილი 6 რესპონდენტიდან მინიმუმ 1 იყო ნეტფლიქსის ფასიანი პაკეტის გამომწერი, დანარჩენი ჯგუფის წევრები ქართული VOD პლატფორმების რეგულარული მომხმარებლები.

ჩაღრმავებული საექსპერტო ინტერვიუსთვის შერჩეული 4 კანდიდატიდან ყველა იყო ნეტფლიქსის ფასიანი პაკეტის გამომწერი.

სქესი: შერეული

რესპონდენტთა ასაკი: 20-45 წელი

**ქვეყანაში არსებული კოვიდსიტუაციის გათვალისწინებით, მეოთხე 2021 წელში დაგეგმილი კვლევების გარკვეული ნაწილის შესრულების ვალდებულების ვადა გადაიწია 2022 წლის ივნისის ბოლომდე.**

# მონიტორინგის პროგრამა

2019 წელს მაუწყებელში შეიქმნა შიდა მონიტორინგის სისტემა. აღნიშნული სისტემის საშუალებით უწყვეტად მიმდინარეობს მონიტორინგი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით. 2021 წელს მონიტორინგის მიმართულებით შესრულებული სამუშაო მოიცავს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების მონიტორინგს, რაოდენობრივი კომპონენტებისა და მოწვეული/ გაშუქებული სუბიექტების აღრიცხვას.

სტანდარტული მონიტორინგის გარდა, საარჩევნო პერიოდში, მიმდინარეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების (სატელევიზიო და რადიოს თოქ-შოუები, საინფორმაციო გამოშვებები) ჩაღრმავებული მონიტორინგი. **მომზადდა 2020 წლის მონიტორინგის ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია ორგანიზაციის წლიურ** ანგარიშში.

მონიტორინგის პროგრამის მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოსამზადებლად. პროგრამის მასალაზე დაყრდნობით მომზადდა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტისთვის, სახალხო დამცველისთვის, არასამთავრობო ოგანიზაციებისთვის და ა.შ.

**საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების შიდა მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა და გამოქვეყნდა ანგარიშები:**

- თვითმმართველობის არჩევნები - წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში „საარჩევნო სუბიექტების გაშუქება პირველ არხზე“ (13 აგვისტოდან -13 სექტემბრის ჩათვლით).
- თვითმმართველობის არჩევნები - პირველ არხზე და საქართველოს რადიოში არჩევნების გაშუქების მონიტორინგის ანგარიში 13 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით.
- თვითმმართველობის არჩევნები - საქართველოს რადიოში არჩევნების გაშუქების ანგარიში 13 აგვისტოდან 1 ოქტომბრის ჩათვლით.

- საპარლამენტო არჩევნები - „მოამბეში" საპარლამენტო არჩევნების გაშუქების მონიტორინგის ანგარიში (1.11.2020 - 30.11.2020)
- საპარლამენტო არჩევნები - საზოგადოებრივი მაუწყებლის წინასაარჩევნო მონიტორინგის სრული ანგარიში
- საპარლამენტო არჩევნები - პრაიმ თაიმში „მოამბის" წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში (1.09.20 - 10.10.20)
- საპარლამენტო არჩევნები - „საქართველოს რადიოს" საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში
- საპარლამენტო არჩევნები - „მოამბის" წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში.

2022 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს პირველ არხზე გაშუქებული თემების სტატისტიკა.

# ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები

## ტექნიკური გადაიარაღება

**საქართველოს პირველი არხი** აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. იცვლება ტრადიციული საწარმოო აღჭურვილობა მაღალტექნოლოგიური სისტემებით. ორგანიზაციის ყურადღება გადატანილია წარმოების ახალ ფორმებზე. გადაიარაღების გეგმის მიხედვით ჩატარდა საქართველოს პირველი და მეორე არხების ძირეული ტექნიკური გადაიარაღება. სისტემური მოდერნიზაცია თავისი მასშტაბით აღემატება მედია დარგში საქართველოში განხორციელებულ ყველა პროექტს. მაუწყებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების პროექტი **საქართველოს პირველ და მეორე არხ ტელესკოლას** რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მედიასაშუალებად აქცევს.

პროექტის ფარგლებში დასრულდა ახალი ამბების სამსახურის მსოფლიოში აღიარებული ლიდერი ბრენდის AVID-ის სისტემით აღჭურვა. ახალი და მიმდინარე ამბების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ახალი სისტემა მოიცავს AVID-ის ე.წ. ქლაუდ სერვისებსაც, რომელიც უზრუნველყობს ნიუსრუმის ინტეგრირებულ საწარმოო ციკლს დაგეგმარებიდან საინფორმაციო გამოშვების ეთერში გასვლამდე.

### ტექნიკური გადაიარაღება

ავტომატიზებული ნიუსრუმის პროექტი

- დასრულებული შესყიდვები
- მომარაგების და ინსტალაციის პროცესი
- ტრენინგები

ახალი ეთერი ახალი სტანდარტი



პროექტების ფარგლებში დამონტაჟდა ახალი მთავარი სამაუწყებლო ავტომატიზებული სისტემა, აეწყო ახალი ცენტრალური საკომუტაციო ინფრასტრუქტურა და სააპარატოები, დამონტაჟდა პროგრამების წარმოებისა და ახალი ამბების წარმოების და მაუწყებლობის ახალი სისტემები, აღჭურვილობა. წლის განმავლობაში დასრულდა ამ სისტემების მონტაჟი, კონფიგურაცია, ტრეინინგები, ტესტირება და ეთერში გაშვება. ჩატარდა ტექნიკური, შემოქმედებითი პერსონალის და ჟურნალისტების ტრეინინგები, ტესტირება და სერტიფიკაცია. ჩატარდა ახალი ამბების განახლებული სტუდიების და სარეჟისოროების სრული ტესტირება და უწყვეტი შიდა მაუწყებლობა.

# სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2021 წლის ანგარიში

## "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ.

გამომდინარე აქედან, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ იურიდიული სამსახურის 2021 წლის ანგარიშს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიცავს მხოლოდ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

## ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" 2021 წლის განმავლობაში განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

### ა. ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2021 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

### ბ. თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" (შემდგომში - "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი") საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2021 წლის 29 იანვარს საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა 2020 წლის 24 იანვარს საქართველოს პირველი არხის ეთერში გადაცემაში “ახალი კვირა“ (21:17:28-დან - 21:36:06-მდე დროის მონაკვეთში) გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით.

საჩივარი ეხებოდა მკვლელობის საქმეზე გ. ჯ.-ს ბრალდების საქმეს და საჩივრის ავტორის აზრით, აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გაშვებით ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლით (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით (მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები), მე-15 მუხლით (მიუკერძოებლობის პრინციპი) და მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მიერ 2021 წლის 25 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც გარკვეულწილად გაზიარებული იქნა საჩივრის ავტორის მოთხოვნები, რის შედეგად, გადაცემაში “ახალი კვირა“ გადაცემის წამყვანის და სიუჟეტის ავტორის მხრიდან გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

აღნიშნული გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში/სამეურვეო საბჭოში არ გასაჩივრებულა.

2.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2021 წლის 22 მარტს საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა 2021 წლის 12-16 მარტის ჩათვლით “პირველი არხის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის და ასევე, 12 მარტს, 21:00 საათიანი “მოამბის“ ეთერში ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატის მიერ საგანგებო ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების გამო, რითაც, მოითხოვა თვითრეგულირების ორგანოს შეესწავლა საჩივარში მოყვანილი ფაქტები და დაედგინა “მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლის, მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა, აგრეთვე, სიუჟეტში მოყვანილი მცდარი ფაქტების თანაზომადი საშუალებებითა და საწყისი განცხადების ხანგრძლივობით შესწორების უზრუნველყოფა.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 08.04.2021წ. გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში/სამეურვეო საბჭოში გასაჩივრდა აპელაციის წესით, თუმცა, სამეურვეო საბჭოს 28.05.2021წ. N510 გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება.

3.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს 2021 წლის 10 მაისს საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა, რათა თვითრეგულირების ორგანოს შეესწავლა 2021 წლის 29 აპრილის საზოგადოებრივი მაუწყებლის "პირველი არხის" ეთერში 22:30 საათზე გასულ საგამოძიებო ფილმში "გარეჯის მთის სიმართლე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" (შემდგომში - "მაუწყებლის ქცევის კოდექსი") მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 27.05.2021წ. გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირებისსააპელაციოორგანოში/სამეურვეოსაბჭოშიარგასაჩივრებულა.

# ანგარიში

## საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ



# ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც მისი საქმიანობისათვის საჭირო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. გარდა სახელმწიფო ასიგნებებისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ასევე, გარკვეული ფულადი სახსრების აკუმულირებას ახდენს საკუთარი კომერციული საქმიანობიდან.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2021 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 82,272,346 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2021 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 80,213,712 ლარი. აქედან, 58,820,000 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ბანკის სესხმა შეადგინა 17,560,744 ლარი, ხოლო - 3,832,968 ლარი შეადგინა კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2021 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენს 82,210,422 ლარს.

2021 წლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 8,715,378 ლარს, წლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 6,718,668 ლარი.

2021 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება შემდეგნაირად გამოიყურება:

***ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება***

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 882,300 | 825,793 | 56,508 | 93.6% |
| გენ. დირ. და დაქვ. სამს | 2,502,616 | 2,378,490 | 124,126 | 95.0% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 12,958,052 | 13,209,330 | (251,278) | 101.9% |
| მედია | 21,579,567 | 21,512,828 | 66,739 | 99.7% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 18,301,550 | 17,743,328 | 558,222 | 96.9% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 16,745,564 | 16,915,974 | (170,409) | 101.0% |
| სხვა გადასახდელები | 9,302,696 | 9,624,679 | (321,983) | 103.5% |
| **ჯამი:** | **82,272,346** | **82,210,422** | **61,924** | **99.9%** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 61,924 ლარით ნაკლები.

# ბიუჯეტის შესრულება, 2021 წ.




## შრომის ანაზღაურება

2021 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებულმა თანხამ შეადგინა 32,002,090 ლარი, ფაქტიურმა გაწეულმა საკასო ხარჯმა კი - 31,990,374 ლარი. ფაქტიურ სახელფასო ხარჯი არ აღემატება ბიუჯეტირებულ თანხას.

*2021 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:*

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 779,046 | 793,056 | (14,010) | 101.8% |
| გენ.დირ. და დაქვ.სამს | 2,232,616 | 2,089,723 | 142,894 | 93.6% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 10,918,820 | 10,983,789 | (64,969) | 100.6% |
| მედია | 8,461,444 | 8,394,391 | 67,053 | 99.2% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 7,329,971 | 7,419,645 | (89,674) | 101.2% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 2,280,193 | 2,309,771 | (29,578) | 101.3% |
| **ჯამი:** | **32,002,090** | **31,990,374** | **11,716** | **100.0%** |

# შრომის ანაზღაურება

გეგმა / ფაქტი




# მივლინება

2021 წლის ფაქტიურმა სამივლინებო ხარჯმა შეადგენდა 752,024 ლარი. ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო თანხა შეადგენდა 618,778 ლარს.

*სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:*

| | **გეგმა** | **ფაქტი** | **სხვაობა** | **%** |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 50,000 | 29,070 | 20,930 | 58.1% |
| გენ.დირ. და დაქვ.სამს | - | - | 0 | |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 362,436 | 472,096 | (109,660) | 130.3% |
| მედია | 204,342 | 241,518 | (37,176) | 118.2% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 1,000 | 9,140 | -8,140 | |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 1,000 | 200 | 800 | 20.0% |
| **ჯამი:** | **618,778** | **752,024** | **(133,246)** | **121.5%** |

მივლინების ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:




# კაპიტალური ხარჯები

2021 წელს გაწეულ იქნა შემდეგი სახის კაპიტალური ხარჯები:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 12,110,974 |
| ტექნიკური გადაიარაღება (მათ შორის კომპ) | 6,704,058 |
| სტუდიის დეკორაცია | 324,372 |
| **სულ** | **19,139,404 ლ.** |

# ლიცენზიები

ლიცენზიების შესყიდვაზე 2021 განმავლობაში გადახდილმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 2,910,660 ლარი.

| ლიცენზიები, 2021 წ. | |
|---|---|
| UEFA 2018-2021 | 474,577 |
| FIFA 2022 | 1,060,481 |
| FIBA 2021 საკვალიფიკაციო | 557,597 |
| ოლიმპიადა 2020 | 729,020 |
| ძიუდო ევროპის ჩემპიონატი 2020 | 88,985 |
| **ჯამი:** | 2,910,660 |

# კომერციული სახსრები

2021 წელს კომერციული საქმიანობიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 3,832,968 ლარი მიიღო. სპონსორობა & სარეკლამო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,986,694 ლარი. საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 341,808 ლარი, საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 1,103,705 ლარი, სხვა კომერციულმა შემოსავლებმა კი - 400,761 ლარი.

*2021 წლის კომერციული შემოსავლები*

| | |
|---|---|
| რეკლამა & სპონსორობა შემოსავლები | 1,986,694 |
| იჯარიდან შემოსავალი | 341,808 |
| საპროცენტო შემოსავალი | 1,103,705 |
| სხვადასხვა შემოსავალი | 400,761 |
| **ჯამი:** | **3,832,968** |

*სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2021 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.*

# დანართი N1

| ანგარიშის დასახელება | ჯამი |
|---|---|
| **სამეურვეო საბჭო** | **825,793** |
| | |
| **ბორდის წევრების ჰონორარი** | 585,610 |
| **სხვა ხარჯი** | 240,183 |
| აპარატის ხელფასი | 207,446 |
| მივლინება | 29,070 |
| საკონსულტაციო ხარჯი სამ. | - |
| შესყიდვები სამ.საბ. | 3,667 |
| **გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები** | **2,378,490** |
| **შრომის ანაზღაურება** | **2,076,664** |
| გენერალური დირექტორის აპარატი | 302,328 |
| ადამიანური რესურსები მართვის სამსახური | 214,029 |
| იურიდიული სამსახური | 190,943 |
| მარკეტინგი და კომუნიკაცია | 48,977 |
| მარკეტინგის ჯგუფი | 277,873 |
| კვლევის და ანალიტიკის ჯგუფი | 90,000 |
| პროექტი ანგარიშგება და ანალიზი | 84,000 |

| | |
|---|---|
| ახალი მედია და ინოვაცია | 261,908 |
| სოციალური მედიის ჯგუფი | 78,084 |
| ვებ დეველოპმენტის ჯგუფი | 161,943 |
| ტექნიკური უზრუნვ. და ადმინისტრირების ჯგუფი | 322,243 |
| მომზადება/გადამზადების ცენტრი | 15,150 |
| პროექტი მედია-მკვლევლელი შშმ პირების მხარდასაჭერად | 29,186 |
| **მარკეტინგული ღონისძიებები** | **151,087** |
| **ონლაინ მედია** | **137,680** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები ონ.მ | 137,680 |
| **ვებ პროექტი პირველი არხის სცენა** | **13,059** |
| შრომის ანაზღაურება | 13,059 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **ახალი და მიმდინარე ამბები** | **13,209,330** |
| | 9,304 |
| შრომის ანაზღაურება | 141,386 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **ახალი ამბები** | **9,608,707** |
| შრომის ანაზღაურება | 8,617,496 |
| ცენტრალური მართვის აპარატი | 189,392 |
| რადარული მართვის აპარატი | 203,465 |
| წარმოების და ტექ.უზრუნველყოფის ჯგ.მოამბე | 3,833,994 |
| სოციალური მედიის ჯგ | 63,600 |
| ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების აპარატი | 82,500 |
| პოლიტიკის მიმართულების ჯგ | 339,539 |
| საერთაშორისო მოვლენების მიმართ. ჯგ | 295,686 |
| სოც. მოვლენების მიმართ. ჯგ | 115,328 |
| კრიმინალის და სამართლის მიმართ ჯგ | 124,556 |
| ეკონომიკის მიმართ. ჯგ | 80,643 |
| კულტურის მიმართ ჯგ | 163,761 |
| სპორტული მიმართ ჯგ | 534,591 |
| მულტიფუნქციური კორესპოდენტების ჯგ | 386,754 |
| მედია პროდუქციის წარმოების აპარატი | - |
| ახალი ამბების არქივი | 117,102 |
| ტელეპროდუქციის წარმ. ჯგ | 508,523 |
| რეგიონული ამბების ჯგ | 261,505 |
| რადიო წარმოების ჯგ | 152,136 |

| | |
|---|---|
| მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი<br>ონლაინ მედია პროდუქციის წარმ ჯგ<br>უცხოენოვანი ჯგუფი<br>ანალიტიკური სამსახური | 18,000<br>597,124<br>276,632<br>272,664 |
| მივლინება | 389,768 |
| უცხური საინფ. სააგენტოები, სიგნალის გადმოგორება | 601,444 |
| შესყიდვები მოამ. | - |
| **ახალი ამბების რადიო პლატფორმა** | **85,865** |
| შრომის ანაზღაურება | 85,865 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | **-** |
| **პროექტი "მრავალფეროვნება"** | **381,591** |
| შრომის ანაზღაურება | 381,456 |
| მივლინება | 135 |
| შესყიდვები | **-** |
| **ბიზნეს პარტნიორი** | **1,115,791** |
| შრ.ანაზღაურება | 19,981 |
| მივლინება | 390 |
| შესყიდვები ბიზნ. | 1,095,420 |
| **ახალი კვირა** | **953,156** |
| შრ.ანაზღაურება | 872,450 |
| მივლინება | 80,353 |
| შესყიდვები ახ. კვ. | 353 |
| **გამომძიებელი რეპორტიორი** | **184,734** |
| შრ.ანაზღაურება | 183,284 |
| მივლინება | 1,450 |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად** | **128,500** |
| შრ.ანაზღაურება | 128,500 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **პროექტი "კვირის ინტერვიუ"** | **38,659** |
| შრ.ანაზღაურება | 38,659 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **42 პარალელი** | **267,184** |
| შრ.ანაზღაურება | 267,184 |

| | |
|---|---|
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **საინტერესო ადამიანები** | **60,000** |
| შრომის ანაზღაურება | 60,000 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა თავისუფალი ხედვა** | **71,236** |
| შრომის ანაზღაურება | 70,882 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები თავის. | 354 |
| **ვებ პროექტი "ანტიფეიქი"** | **116,648** |
| შრომის ანაზღაურება | **116,648** |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **არჩევნები 2021** | **55,875** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები არჩევ. | 55,875 |
| **მედია** | **21,512,828** |
| **შრ.ანაზღაურება** | **2,169,110** |
| დირექტორის აპარატი | 319,073 |
| სარეკომენდაციო საბჭო | 135,585 |
| ტელე-რადიო პროდუქციის დაგეგმვისა და პროგრამირების ჯგუფი | 95,250 |
| ვიზუალური გაფორმების ჯგ | 885,074 |
| პირველი არხი | 187,625 |
| მზა პროდუქციის შერჩევის ჯგ | 96,000 |
| თარგმნა გახმოვანების ჯგ | 383,719 |
| არხის შეფუთვა | 66,784 |
| **მივლინება** | **6,082** |
| **წარმომადგენლობით ხარჯი** | **21,997** |
| **შესყიდვები მედია** | **140,605** |
| **მექანიკური პროდუქცია** | **1,634,411** |
| **კონცერტები/დაჯილდოებები** | **14,126** |
| **ქართული ფილმები** | **39,550** |
| **გახმოვანება (სტუდიები)** | **254,771** |
| **არქივი** | **698,655** |
| სპორტული მიმართულება | 3,451,343 |
| **სიგნალები და სპორტული სააგენტოები** | **540,684** |
| სპორტთან დაკავშირებული სიგნალის გადმოგორება | 435,125 |
| SNTV (Sport News Reporting Licence) | 105,559 |

| | |
|---|---|
| **ლიცენზიები** | **2,910,660** |
| UEFA 2018-2021 | 474,577 |
| FIFA 2022 | 1,060,481 |
| FIBA 2021 საკვალიფიკაციო | 557,597 |
| კალათბურთის ამხანაგური მატჩები | - |
| ოლიმპიადა 2020 | 729,020 |
| ძიუდო ევროპის ჩემპიონატი 2020 | 88,985 |
| ჭიდაობა ევრ.ჩემპ. | - |
| **ტელეჟურნალი ელექტროლიტი** | **22,792** |
| შრომის ანაზღაურება | 22,792 |
| მივლინება | **-** |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა ახალი დღე** | **774,825** |
| შრომის ანაზღაურება | 749,503 |
| მივლინება | 14,420 |
| შესყიდვები დღე | 10,901 |
| **გადაცემა ექსპონატით მოყოლილი ისტორია** | **20,205** |
| შრომის ანაზღაურება | 19,875 |
| მივლინება | **330** |
| შესყიდვები | - |
| **პროექტი აკუსტიკა** | **408,093** |
| შრომის ანაზღაურება | 393,122 |
| მივლინება | 11,515 |
| შესყიდვები აკუს. | 3,456 |
| **პროექტი ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ** | **139,020** |
| შრომის ანაზღაურება | 127,500 |
| მივლინება | 11,520 |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა პირადი ექიმი მარი მალაზონია** | **212,655** |
| შრომის ანაზღაურება | 209,690 |
| მივლინება | 855 |
| შესყიდვები ექ. | 2,110 |
| **გადაცემა დღის კოდი** | **483,735** |
| შრომის ანაზღაურება | 483,250 |
| მივლინება | 485 |
| შესყიდვები | - |

| | |
|---|---|
| **გადაცემა ფერმა** | **139,807** |
| შრომის ანაზღაურება | 115,867 |
| მივლინება | 23,940 |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა რეალური სივრცე** | **358,500** |
| შრომის ანაზღაურება | 351,000 |
| მივლინება | 7,500 |
| შესყიდვები | - |
| **გადაცემა ტაიმ აუტი** | **83,863** |
| შრომის ანაზღაურება | 75,023 |
| მივლინება | 8,140 |
| შესყიდვები ტაიმ. | 700 |
| **პროექტი დოსიე** | **146,348** |
| შრომის ანაზღაურება | 146,348 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **მეგა შოუ რანინა** | **419,512** |
| შრომის ანაზღაურება | 253,765 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები რან. | 165,747 |
| **პროექტი ოქროს საგანძური** | **11,125** |
| შრომის ანაზღაურება | 11,125 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **რადიო გადაცემები** | **809,233** |
| შრომის ანაზღაურება | 805,350 |
| მივლინება | 1,020 |
| შესყიდვები რად. | 2,862 |
| **სერიალი "იდეალური დედა"** | **825,800** |
| შრ.ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები დე. | 825,800 |
| **გადაცემა მარტივი ლოგიკა** | 668,120 |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები მარტ. ლ | 668,120 |

| | |
|---|---|
| **"წიგნების თაროს" პროექტები** | **822,665** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | 19,631 |
| შესყიდვები წიგ. | 803,034 |
| **პროექტი "რა? სად? როდის?"** | **281,282** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები რა | 281,282 |
| **პროექტი მასტერშეფი** | **1,572,391** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | 255 |
| შესყიდვები მასტ. | 1,572,136 |
| **მუსიკალური მეგაშოუ "ვოისი"** | **1,145,139** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები ვო. | 1,145,139 |
| **პროექტი კაცების შოუ** | **281,252** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები კაც. | 281,252 |
| **ანიმაციური სერიალი** | **324,866** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები მაშ. | 324,866 |
| **პროექტი ევროვიზია** | **476,651** |
| შრომის ანაზღაურება | 114,558 |
| მივლინება | 74,817 |
| შესყიდვები ევრ | 287,275 |
| **სერიალი "სეანსი"** | **99,000** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები სე. | 99,000 |
| **პროექტი დავით გორგილაძის ტელებლოგი** | **101,575** |
| შრომის ანაზღაურება | 101,250 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები გორგი. | 325 |

| | |
|---|---|
| **გადაცემა შაბათ - კვირის შოუ** | **202,116** |
| შრომის ანაზღაურება | 199,216 |
| მივლინება | 750 |
| შესყიდვები შაბათ. კ | 2,150 |
| **გადაცემა ასტრონომთა კლუბი** | **43,050** |
| შრომის ანაზღაურება | 41,250 |
| მივლინება | 1,800 |
| შესყიდვები | - |
| **შარქთენქ საქართველო** | **283,157** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | 650 |
| შესყიდვები შარქ. | 282,507 |
| **ახალი წლის პროექტი** | **532,582** |
| შრომის ანაზღაურება | 30,608 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები ახალი წ. | 501,974 |
| **ტელესკოლა - პროექტები** | 806,721 |
| პროექტი ტელესკოლა | 403,608 |
| შრ.ანაზღაურება | 370,191 |
| მივლინება | 120 |
| შესყიდვები სკოლ. | 33,297 |
| **პროექტი ტელეგაკვეთილები** | 128,581 |
| შრ.ანაზღაურება | 128,581 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **ვებ პროექტი მათემატიკის გაკვეთილები** | **30,600** |
| შრომის ანაზღაურება | 30,600 |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **პროექტი ჩვენი საქართველო** | **149,944** |
| შრ.ანაზღაურება | **115,869** |
| მივლინება | 33,375 |
| შესყიდვები საქ | 700 |
| **პროექტი ლიტერატურული ფრაგმენტები** | 13,645 |
| შრ.ანაზღაურება | **13,645** |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **ტელესკოლას სხვა პროექტები** | **80,343** |
| ტელეფილმების წარმოება | 586,099 |

| | |
|---|---|
| ტელეფილმები | 288,071 |
| სტუდია ეპოქა | 214,235 |
| შრ.ანაზღაურება | 190,800 |
| მივლინება | 21,488 |
| შესყიდვები ეპო. | 1,947 |
| **იუნკერები** | - |
| შრ.ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები | - |
| **სხვადასხვა ფილმები** | **75,256** |
| ანწუხელიძეს გმირობა - (ბასილაძე, შენგელი) | 3,500 |
| იოსებ ყიფშიძე (გაფრინდაშვილი, შუბაშვილი) | **-** |
| ანდრია რაზმაძე (გაფრინდაშვილი, შუბაშვილი) | - |
| **მხ ფილმი (საკონკურსო)** | - |
| დაიწერეთ გულებში | 2,500 |
| **პროექტი ხევისბერი** | **15,131** |
| შრომის ანაზღაურება | 12,306 |
| მივლინება | 2,825 |
| შესყიდვები | - |
| **პროექტი ტელედოკი** | **24,375** |
| **კოპროდუქცია - ჰაერი ლურჯი აბრეშუმია** | **15,000** |
| **პროექტი დრო აღარ ითმენს** | **7,250** |
| **პროექტი ქართველი მოდერნისტები** | **7,500** |
| **ქართული ტელესერიალი** | **8,537** |
| შრომის ანაზღაურება | - |
| მივლინება | - |
| შესყიდვები ქართ. სერ. | 8,537 |
| **ტექნიკა და ტექნოლოგიები** | **17,743,328** |
| | 9,304 |
| **შრომის ანაზღაურება** | **7,419,645** |
| დირექტორის აპრატი | 337,082 |
| გავრცელების უზრუნველყოფის სამს | 55,825 |
| საერთაშორის ჩართვების ჯგ | 21,300 |
| შიდა და გარე სიგნალების მომსახურე ჯგ | 223,362 |
| ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური | 529,845 |
| ტექნიკური უზრუნველყოფის სამს | 55,825 |
| დაგეგმარების ჯგ | 62,424 |
| მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჯგ | 432,715 |
| სარემონტო ჯგ | 64,440 |
| სტუდიების ჯგ | 330,983 |
| ტელე ცენტრალური სააპარატოს ჯგ | 100,467 |

| | |
|---|---|
| რადიოს ტექ უზრუნველყოფის ჯგ | 133,533 |
| ენერგეტიკის სამუშაო ჯგ | 216,520 |
| წარმოების უზრ. სამსახური | - |
| წარმოების დაგეგმარების & კონტროლის ჯგ | 63,100 |
| ოპერატორების ჯგ | 1,375,351 |
| ხმის რეჯისორები ჯგ | 629,775 |
| მემონტაჯეთა და გაფიკოსთა ჯგ | 750,842 |
| ვიზაშისა და სტილისტების ჯგ | 211,438 |
| გამნათებლების ჯგ | 365,435 |
| საეთერო ჯგ | 469,153 |
| ცენტრალური საეთეროს ჯგ | 428,956 |
| სამხატრო-სადადგმო ჯგ | 415,916 |
| კამერების პარკი | 109,750 |
| განათების პარკი | 13,500 |
| ტექ. ბლოკის ჰონორარები | 22,107 |
| **მივლინება** | **9,140** |
| **შესყიდვები** | **-** |
| **ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი** | **318,600** |
| Expert Solutions Georgia | 318,600 |
| **ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)** | **1,764,059** |
| **სატელიტის მომსახურება** | **264,639** |
| AZECOSMOS | **139,619** |
| EUTELSAT | 125,020 |
| **ტექნიკის და სხვა შესყიდვები** | **7,526,888** |
| **ტექნიკური გადაიარაღების გეგმა** | **6,704,058** |
| **ტექნიკის შესყიდვა ( კომპ, ტექნიკა და სხვა)** | **108,503** |
| **პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა( ანტივირუსი და სხვა ლიცენზიები)** | **95,305** |
| **სტუდიის დეკორაცია** | **324,372** |
| **ვიზაჟის მასალა (კოსმ. პროდუქტი)** | **32,509** |
| **გარდერობი** | **14,919** |
| **ინტერნეტ მომსახურება, სილქ ტივი და სხვა მომსახურება** | **19,943** |
| **სატელეკომუნიკაციო მომსახურებები (ჯებში გატარება)** | **48,778** |
| **სხვა ტექნიკური ხარჯი** | **178,500** |
| **ტექნიკის იჯარა** | **440,358** |
| მსს | 405,702 |
| უწყვეტი კვების წყარო | 34,656 |
| **ფინანსები და ადმინისტრაცია** | **16,915,974** |
| | 9,304 |
| **შრომის ანაზღაურება** | **2,309,771** |

| | |
|---|---|
| ბლოკის დირექტორის აპარატი | 152,414 |
| ფინანსური ანალიზისა და ფინანსური აღრიცხვის სამს | 54,625 |
| ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი | 210,375 |
| ფინანსური ანალიზის,ბიუჯეტირების და რეპორტინგის ჯგუფი | 108,925 |
| შესყიდვების სამს | 267,925 |
| ადმინისტრაცია | 193,808 |
| საწყობი | 63,338 |
| ტელეკომუნიკაციის ჯგ | 31,581 |
| სარემონტო ჯგ | 91,665 |
| ვენტილაციის ჯგ | 72,895 |
| ავტოპარკი | 965,670 |
| საქმის წარმოების სამსახური | 96,550 |
| **მივლინება** | **200** |
| **ახალი შენობის ზედამხედველობა** | **476,398** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | **11,634,576** |
| **კომუნალური ხარჯები** | **1,045,109** |
| წყალი | 97,583 |
| **ელ. ენერგია** | **776,740** |
| გაზი | 30,296 |
| დასუფთავება, სანიტარული, ნარჩენების გატანა | 140,490 |
| **ტრანსპორტი** | **571,178** |
| **ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი** | **218,106** |
| ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება)/სათად. ნაწილები | 117,242 |
| საბურავები | 70,218 |
| **ავტოტრანსპორტის დაზღვევა** | **17,186** |
| **GPS** | **7,920** |
| ტექ. დათვალიერება | 2,580 |
| პარკირების და ჯარიმის გადასახადი | 2,960 |
| **საწვავ-საპოხი მასალები** | **353,072** |
| ბენზინი | 293,178 |
| დიზელი | 53,133 |
| ზეთი+ფილტრები | 6,761 |
| **კავშირგაბმულობა** | **166,161** |
| მობილური/ქალაქის ტელეფონი | 159,879 |
| 112-ის მომსახურება | 6,282 |
| **საოფისე მასალები** | **60,558** |

| | |
|---|---|
| **საოფისე ინვენტარი** | **36,682** |
| საკანცელარიო საქონელი | 4,446 |
| კარტრიჯები, საბეჭდი მასალები | 19,430 |
| **შენობა-ნაგებობების დაცვა** | **305,575** |
| **სამეურნეო საქონელი** | **57,042** |
| **საოფისე ელ. ტექნიკა და სხვა** | **69,101** |
| **საფოსტო, საკონსულტაციო, თარგმნა, ნოტარიუსის მომსახურება** | **74,636** |
| **ინფრასტრუქტურის და საოფისე მოწყობილებების /შენახვა/მოვლა** | **59,992** |
| **სხვა ადმინისტრაციული ხარჯი** | **85,677** |
| **გადასახდელები** | **9,624,679** |
| **ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი** | **620,054** |
| **დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)** | **2,208,636** |
| **ქონების გადასახადი** | **117,106** |
| **მიწის გადასახადი** | **16,215** |
| **მოგების გადასახადი** | **6,571** |
| **საავტორო უფლებები** | **218,807** |
| **უარყოფითი საკურსო სხვაობა** | **5,311** |
| **სესხის მომსახურება** | **6,184,695** |
| **საპენსიო ფონდიდან უკან დაბრუნება** | **-** |
| **სამსახ. მოვალ. შესრ. დროს დაზარაბელთა საკომპენსაციო ფონდი** | **-** |
| **სახელმწიფო ბაჟი** | **13,057** |
| **სხვა მიმდინარე დავალიანება/გადასახადები** | **234,228** |
| **ჯამი:** | **82,210,422** |

საქართველოს
პირველი არხი